



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 მაისი 2026



N 303/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში შპს „მოგამს“-ის სასარგებლო წიაღისეულის (კვარცის ქვიშა) გადამამუშავებელი და წებო-ცემენტის დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „მოგამს“-ის მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის (კვარცის ქვიშა) გადამამუშავებელი და წებო-ცემენტის დამამზადებელი საწარმო მოწყობილია ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის №233-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.35.23.354; ფართობი: 2 516 მ²) განთავსებულ შენობაში, რომლითაც შპს „მოგამს“-ი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია დასახლებულ პუნქტში მდებარეობს. საწარმოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით (ს/კ: 05.35.23.911), დაახლოებით 11 მეტრში საცხოვრებელი სახლი ემიჯნება, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით (ს/კ: 05.35.23.017), დაახლოებით 23 მეტრში – კვების ობიექტი. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდინარე ჭოროხი, დაახლოებით 1,1 კილომეტრში მიედინება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 60 მეტრში (ს/კ: 05.35.23.034) შპს „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა“ ფიქსირდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 180 მეტრში შპს „ანაგი ბეტონი“-ს სამშენებლო მასალის დამამზადებელი საწარმო მდებარეობს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიის 500-მეტრიან რადიუსში ასევე განთავსებულია შპს „ბლოკის“ (ს/კ:05.35.28.345), შპს „ორბი ბეტონის“ (ს/კ: 05.35.28.185), შპს „ბეტონი 86“-ის (ს/კ:05.35.28.059), შპს „ნიკა“-ს (ს/კ: 05.35.28.308), შპს „მმმ ჯგუფი“-ს (ს/კ: 05.35.28.267) საწარმოები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმო წარმოდგენილია შემდეგი ტექნოლოგიური ელემენტებით: მიმღები ბუნკერი; ლენტური ტრანსპორტიორი; საშრობი დოლი; წისქვილი (2 ტ/სთ); №1 ბუნკერი; საცერი; შემრევი ბუნკერი; №2 ბუნკერი; ცემენტის სილოსი (80 ტ). საპროექტო ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია ნედლეულის საწყობი და პროდუქციის დაფასოების უბანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში შეტანილი კვარცის ქვიშა ნედლეულის საწყობში თავსდება, საიდანაც დამტვირთველის მეშვეობით მიმღებ ბუნკერში იყრება. მიმღები ბუნკერიდან ნედლეული ლენტური ტრანსპორტიორით საშრობ დოლს მიეწოდება, სადაც ბუნებრივ აირზე მომუშავე სანთურის მეშვეობით 200°C-მდე ხურდება. საშრობი დოლიდან გამოსული მასა ლენტური ტრანსპორტიორით №1 ბუნკერში იყრება, საიდანაც შნეკის მეშვეობით წისქვილს მიეწოდება. დამსხვრეული მასალა შნეკის საშუალებით საცერში გადადის, საიდანაც მიღებული ფრაქციები შემრევ ბუნკერში იყრება. შემრევ ბუნკერში ჩაყრილ მასალას ცელულოზა, პოლიმერის ფხვნილი, ღვინის მჟავა, სახამებელი, შუშის ბოჭკო, ლიმონის მჟავა და ცემენტი ემატება და შერევის პროცესი ხორციელდება. შერეული მასალა სასწორზე გადადის და შემდგომ №2 ბუნკერს მიეწოდება, საიდანაც ტომრებში ფასოვდება და სასაწყობე ტერიტორიაზე თავსდება. 1 ტონა წებო-ცემენტის საწარმოებლად საჭიროა 240 კგ ცემენტი; 740 კგ კვარცის ქვიშა; 3,4 კგ ცელულოზა; 3,3 კგ პოლიმერის ფხვნილი; 3,3 კგ ღვინის მჟავა; 3,4 კგ სახამებელი; 3,3 კგ შუშის ბოჭკო; 3,3 კგ ლიმონის მჟავა. საწარმოს სამუშაო რეჟიმი წელიწადში 250 დღეს, დღეში 8 საათს შეადგენს. საწარმო წელიწადში 4 000 ტონა კვარცის ქვიშის გადამუშავებას და 3 360 ტონა წებო-ცემენტის წარმოებას უზრუნველყოფს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ჭაბურღილიდან, ხოლო წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ქალაქის საკანალიზაციო ქსელზეა დაერთებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების, კერძოდ, აზოტის დიოქსიდის, ნახშირბადის ოქსიდის, ასევე არაორგანული მტვრის წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ვინაიდან საწარმო დასახლებულ პუნქტში მდებარეობს და საპროექტო ტერიტორიას სხვადასხვა რეცეპტორები (საცხოვრებელი სახლი, კვების ობიექტი, სამედიცინო დაწესებულება) ემიჯნება, ასევე 500-მეტრიან რადიუსში არაერთი საწარმოო ობიექტი ფიქსირდება, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურ შესწავლას და შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას მოითხოვს. ამასთან, საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, იკვეთება ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის შემუშავების საჭიროება, რაც საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლა-შეთანხმების საგანია.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება. მიღებული შედეგებით, უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე 46,5 დბ-ს, ხოლო კვების ობიექტთან მოსალოდნელი ხმაურის დონე – 42 დბ-ს არ აღემატება. ვინაიდან, საწარმო დასახლებულ პუნქტში მდებარეობს და საპროექტო ტერიტორიას სხვადასხვა რეცეპტორები (საცხოვრებელი სახლი, კვების ობიექტი, სამედიცინო დაწესებულება) ემიჯნება, ასევე 500-მეტრიან რადიუსში არაერთი საწარმოო ობიექტი ფიქსირდება, იკვეთება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის მონიტორინგის და შესაბამისი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმების საჭიროება, რაც საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლა-შეთანხმების საგანია.

წარმოდგენილ დოკუმენტში დეტალურად არ არის მოცემული ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისა და მათი მართვის საკითხების შესახებ, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, მითითებული საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ამასთან, ვინაიდან მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიის 500-მეტრიან რადიუსში შპს „ანაგი ბეტონი“-ს სამშენებლო მასალის დამამზადებელი საწარმოს გარდა ასევე ფიქსირდება სხვადასხვა საწარმოო ობიექტები, კუმულაციური ზემოქმედების საკითხი დამატებით შესწავლას და შეფასებას მოითხოვს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და II დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „მოგამს“-ის მიერ დაგეგმილი საქმიანობა – სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება **დაექვემდებაროს გზშ-ს.**
2. შპს „მოგამს“-ი ვალდებულია კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მოგამს“-ის.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მოგამს“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/303-21-4-202605061831>

